დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის #03/55 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის ვიდეო მონიტორინგის განხორციელების წესი

2025

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეო/აუდიო მონიტორინგის განხორციელების წესების (შემდგომში - წესები) მიზანია ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, ვიდეო მონიტორინგის, (შემდგომში - ვიდეო მონიტორინგი) განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდეო მონიტორინგის მიზნის და მოცულობის, ვიდეო მონიტორინგის ხანგრძლივობის, ვიდეო ჩანაწერზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესის და პირობების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრის გამჭირვალე პროცედურების დადგენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

2. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე, ვიდეო მონიტორინგის მეშვეობით დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირ(ებ)ზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე.

3. ეს წესი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ადგენს ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცედურულ ნორმებს, თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა. **პერსონალური მონაცემი** - ვიდეოჩანაწერი, რომელზეც გამოსახულია იდენტიფიცირებული ან/და იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი;

ბ. **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** - მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, ვიზუალურად აღქმადი ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ. **მონაცემთა დამუშავება**- ვიდეო მონიტორინგის პროცესში მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

დ. **მონაცემთა სუბიექტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ექცევა ვიდეო სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში;

ე. **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** - სკოლა-გიმნაზია მონაცემთა დამმუშავებელი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

ვ. **მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირი** - ნებისმიერი პირი, რომელსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მინიჭებული აქვს მონაცემებზე წვდომის უფლება;

ზ. **ვიდეო მონიტორინგი** – სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეო კონტროლი ან/და ვიდეო ჩაწერა;

თ. **ვიდეო მონიტორინგის პოლიტიკა** - წინამდებარე ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პოლიტიკა;

ი. **კანონი** - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

2. ამ წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლა-გიმნაზიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი II
ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცედურა

მუხლი 3. ვიდეო მონიტორინგის ფორმა

1. ამ თავით განსაზღვრული პროცედურა ვრცელდება მხოლოდ ვიდეო მონიტორინგზე (აუდიო მონიტორინგის ელემენტების გარეშე).
2. ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია (შემდეგში სკოლა-გიმნაზია) ვიდეო მონიტორინგს ახორციელებს სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგის ფორმით მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 4. ვიდეო მონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. სკოლა-გიმნაზიაში ვიდეო მონიტორინგის განხორციელების მიზნებია:
   ა) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა;
   ბ) სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების (მათ შორის არასრულწლოვნების) უსაფრთხოების დაცვა;
   გ) საკუთრების დაცვა;
   დ) სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვა.

სკოლა-გიმნაზიის მიერ ვიდეო მონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

2. თუ სკოლა-გიმნაზიის მიერ ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცესში ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზანთან, სკოლა-გიმნაზია არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.
3. დაუშვებელია ვიდეო მონიტორინგის სისტემა გამოყენებულ იქნას სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული პირების ქცევის მონიტორინგის ან/და შინაგანაწესის დაცვის კონტროლის მიზნით.

მუხლი 5. ტექნიკური მახასიათებლები

1. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო მონიტორინგის სისტემით. ვიდეო მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში.
2. სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო მონიტორინგისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
3. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერები არ არის განთავსებული თანამშრომელთა ოთახებში.
4. დაუშვებელია ვიდეო მონიტორინგის განხორციელება სკოლა-გიმნაზიის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახებსა და სამასწავლებლოში.
5. სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს სკოლა-გიმნაზიის გარე პერიმეტრის (მათ შორის ეზო, ბაღი და სხვა) სრულად ვიდეო მონიტორინგსა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
6. ვიდეო მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგს, შეესაბამება „ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო- ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებით განსაზღვრულ ვიდეო მონიტორინგის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია იზრუნოს სკოლის ვიდეო მონიტორინგის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, მათ შორის, ვიდეო მონიტორინგის სისტემის „ლოგირების“ მექანიზმის უზრუნველყოფაზე და უფლებამოსილი პირის მიმართვის შემთხვევაში,

უზრუნველყოფს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორებას და პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეო მონიტორინგის სისტემით სარგებლობისას.

7. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით ჩაწერა შესაძლოა მოხდეს, როგორც უწყვეტ რეჟიმში, ასევე, სენსორულ ფორმატშიც (ჩაწერა იწყება ვიდეოკამერის ხედვის არეალში მოძრაობის დაფიქსირების შემთხვევაში). ვიდეოკამერების რაოდენობის და რეჟიმის ცვლილებას ახდენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო დარგში.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები, ვიდეო ჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

1. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა ხდება როგორც რეალურ დროში, ასევე, შესაძლებელია ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა მოწყობილობაზე ჩაწერა.

2. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერები დაკავშირებულია სკოლა-გიმნაზიის შიდა კომპიუტერთან, კერძოდ, სკოლა-გიმნაზიის დირექციის ოთახში განთავსებულია მოწყობილობა, რომელზე წვდომაც აქვს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს საორგანიზაციო დარგში სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგის დაშვებით (სისტემაში შესასვლელად ენიჭება სახელი და პაროლი). ოთახი დაცულია 24 საათის განმავლობაში და შესვლა შესაძლებელია მხოლოდ დირექციის ნებართვით და ზედამხედველობით.

3. სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგი ახდენს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის საორგანიზაციო დარგში სამსახურებრივი კომპიუტერის IP მისამართის დაშვებას იმ სერვერებთან, რომელიც დაკავშირებულია ვიდეო კამერებთან (სისტემაში შესასვლელად ენიჭებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი).

4. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მონაცემები ინახება სპეციალურად მოწყობილ სივრცეში. სივრცე არის ჩაკეტილი და წვდომის უფლება აქვს მხოლოდ დირექციის წევრებს ან სკოლა-გიმნაზიის რექტორს/აღმასრულებელ დირექტორს, ან მის მიერ განსაზღვრული პირის ნებართვით - სხვა პირს.

5. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეო მონიტორინგის სისტემით ვიდეო ჩაწერა აწარმოოს მთელი სასკოლო დროის განმავლობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეო მონიტორინგის სისტემით – მუდმივად.

6. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო დარგში ან/და ინფორმაციული ტექნოლოგი ატყობინებს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

7. კომპიუტერზე, რომლის საშუალებითაც ხდება ვიდეო მონიტორინგი, უნდა არსებობს აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე. წ. „ლოგირების“ სისტემა), რომელიც ვიდეო ჩანაწერების დამუშავების თითოეული შემთხვევის აღრიცხვის, მათ შორის, იძლევა წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის აღრიცხვის შესაძლებლობას.

8. სკოლა-გიმნაზია ზრუნავს ვიდეო თვალთვალის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე და უზრუნველყოფს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორებას და პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ვიდეო თვალთვალის სისტემით სარგებლობისას.

9. ვიდეო მონიტორინგის სისტემის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგი.

მუხლი 7. ვიდეოჩანაწერის შენახვისა და განადგურების წესი

1. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა, როგორც უწყვეტი, ასევე, სენსორული რეჟიმის შემთხვევაში, არის არაუმეტეს 30 დღე და ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩანაწერები ნადგურდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც მოხდა მისი ამოღება.

2. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან უკანონო წვდომის ფაქტის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, სკოლა-გიმნაზიის ინფორმაციული ტექნოლოგი ახდენს იმ მომხმარებლის იდენტიფიცირებას და შენახვას (ლოგირება), რომელსაც ელექტრონულად ჰქონდა წვდომა ვიდეოკამერების ჩანაწერებთან (შესვლის დრო და მომხმარებლის სახელი). აღნიშნული მონაცემები ინახება 30 დღის ვადით, თუ სახეზე არ არის მონაცემების შენახვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

3. ელექტრონული ინფორმაციის შენახვაზე და კონფიდენციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო დარგში.

მუხლი 8. ვიდეოჩანაწერის გამჟღავნება (გადაცემა) მესამე მხარისათვის

1. სკოლა-გიმნაზიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა ფაილზე ჩაწერა შესაძლებელია სკოლა-გიმნაზიის საორგანიზაციო დარგში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ნებართვით.

2. დასაბუთებული მოთხოვნისთანავე ჩანაწერი წარედგინება სკოლა-გიმნაზიის დირექციას, უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს, ასევე სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო დარგში უფლებამოსილია უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის.

4. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მიიღოს ტექნიკური ზომები, მონაცემებზე წვდომის შესახებ მოთხოვნის შესასრულებლად (მაგ.: მოახდინოს გამოსახულების რედაქტირება, მათ შორის, შენიღბვა, სურათის გაბუნდოვნება და მხოლოდ ამის შემდგომ გადასცეს ის მონაცემთა სუბიექტს.

თავი III

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

მუხლი 9. ვიდეო მონიტორინგის შესახებ ინფორმირებულობა

1. სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე ვიდეო მონიტორინგთან დაკავშირებით, სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით ინფორმირებულია ყველა პირი.

2. შენობის როგორც გარე, ასევე, შიდა პერიმეტრზე განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ „მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი“.

3. გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა შეიცავდეს:
   ა. მარტივად აღქმად წარწერას და გამოსახულებას ვიდეო მონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე;
   ბ. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებას;
   გ. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემებს.

4. გამაფრთხილებელი ნიშნები არ უნდა განთავსდეს იმ სივრცეში, სადაც ვიდეო მონიტორინგი რეალურად არ ხორციელდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მონაცემთა სუბიექტების შეცდომაში შეყვანისა და მათი პირადი ცხოვრების უფლებაზე ზემოქმედების ირიბი საფრთხე.

5. ინფორმირების მიზნით, დასაქმებულებს წერილობით განემარტებათ ვიდეო მონიტორინგის მიზნები.

მუხლი10. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა

1. ვიდეო მონიტორინგის განხორციელებისას სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და ამ მიზნით, სკოლა-გიმნაზიას მოსთხოვოს:
   ა. დაიცვას მონაცემების სიზუსტე, არასწორი ინფორმაციის გასწორება/წაშლა, შევსება;
   ბ. არ გასცდეს ვიდეო მონიტორინგის მიზნებს;
   გ. ვიდეო მონიტორინგი განახორციელოს მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლებით;
   დ. ვიდეო მონიტორინგი განახორციელოს მხოლოდ განსაზღვრული მოცულობით და ვადით;

ე. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება;

ვ. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღება;

ზ. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;

თ. მონაცემთა დაბლოკვა;

ი. მონაცემთა გადატანა;

კ. არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას.

2. მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

ვ) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;

ზ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;

თ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებელის დასაბუთებას.

ი) ამ მუხლის მეორე პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ ან „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას;

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

მუხლი 11. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

2. ვიდეო მონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს საორგანიზაციო დარგში ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

3. ვიდეო მონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.